აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/50

11.07.2019

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე ფაკულტეტის საბჭოს განმეორებითი არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წედების , სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და შესაბამისი ფაკულტეტების დებულებების შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში და ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში დაინიშნოს ფაკულტეტის საბჭოს განმეორებითი არჩევნები
2. არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 17 ივლისს 10 საათიდან 14 საათამდე.
3. .უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
4. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.
5. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი